კიევ-პეჩერის ლავრაში ღია ცის ქვეშ ლიტურგიაზე ათასობით ადამიანი შეიკრიბა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 03.26.2023. 26 მარტს, დიდი მარხვის მეოთხე, ღირსი იოანე კიბისაღმწერელის კვირას, კიევ-პეჩერის მიძინების ლავრაში ჯვართამაღლების ტაძართან კიევისა და სრულიად უკრაინის უნეტარესმა მიტროპოლიტმა ონოფრემ საზეიმო ღვთისმსახურება აღასრულა.

როგორც უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საინფორმაციო-საგანამანათლებლო განყოფილება **იტყობინება,** უნეტარეს მეუფეს თანამსახურებდნენ კიევ-პეჩერის ლავრის ადგილმონაცვლე, ვიშგოროდისა და ჩერნობილის მიტროპოლიტი პავლე; უმე-ს საქმეთა მმართველი, ბორისპილისა და ბროვარის მიტროპოლიტი ანტონი; ნეჟინისა და პრილუკის მიტროპოლიტი კლიმენტი; ბარიშევის მთავარეპისკოპოსი ვიქტორი; ვიშნევის ეპისკოპოსი სპირიდონი; ირპენის ეპისკოპოსი ლავროსი; ბოროდიანის ეპისკოპოსი მარკოზი; სკადოვის ეპისკოპოსი ბენიამინი და ლავრის სამღვდელოება. თავის მწყემსთმთავართან ერთად უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ათასობით მორწმუნე ლოცულობდა.

წმინდა სახარების წაკითხვის შემდეგ უნეტარესმა მიტროპოლიტმა ონოფრემ **ქადაგება** წარმოთქვა.

ლავრაში შეკრებილ მორწმუნეთა მიმართ სიტყვაში მან აღნიშნა: „გმადლობთ, რომ დღეს მოხვედით ჩვენთან ერთად სალოცავად, და მოგიწოდებთ, რომ შემდგომშიც ილოცოთ – ვისაც როგორ შეგიძლიათ და სადაც შეგიძლიათ. ვისაც შეუძლია აქ, ძმებთან მოსვლა სავანეში – აქ ილოცეთ ძმებთან ერთად. ვისაც ეს არ შეუძლია, სხვაგან ილოცოს. ლოცვა სივრცით არ იზღუდება და თუ ჩვენ ღმერთს შევთხოვთ ნებისმიერ ადგილზე, ღმერთი შეისმენს ჩვენს თხოვნას“.

მისმა უნეტარესობამ შეკრებილ საზოგადოებას შეახსენა, რომ სახელმწიფო მოხელეებს სურთ, 29 მარტს შეწყვიტონ ლავრასა და სახელმწიფო ნაკრძალს შორის დადებული ხელშეკრულება სავანის შენობა-ნაგებობებით სარგებლობის შესახებ. „ვითხოვ თქვენს წმინდა ლოცვებს, რათა გამოვითხოვოთ ღმერთისგან, რომ უფალმა ნება მოგვცეს კვლავაც დავყოთ ამ წმინდა სავანეში, რომ ძმებმა, რომელთა ძალისხმევითაც ნანგრევებიდან აღდგა ეს ლავრა და ისეთი ლამაზი გახდა, როგორსაც ჩვენ მას დღეს ვხედავთ, შეძლონ აქ ყოფნა და ღვთისადმი ლოცვა“, – განაცხადა მიტროპოლიტმა ონოფრემ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მონასტერში მთელი მსოფლიოსთვის ლოცულობენ, და მრევლს მოუწოდა, რომ ილოცონ, რათა ძმებმა განაგრძონ ამ ღვაწლის აღსრულება, რომელიც მსოფლიოს ესოდენ ძალიან სჭირდება.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90176/